საქართველოს მთავრობის

დადგენილება №572

2017 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №627 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №627 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016, 270000000.10.003.019694) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 312 100 (სამას თორმეტი ათას ასი) ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**